ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · სამშაბათი, 6 ოქტომბერი 1997 №122 (487) · ფასი 30 თეთრი

## 8 ტური

| | | |
|---|---|---|
| მორკინალი | 2:0 | სიონი |
| მერანი | 1:0 | ტორპედო |
| მეტალურგი | 0:2 | ლოკომოტივი |
| გურია | 3:1 | მაღაროელი |
| სამგურალი | 2:1 | თსუ |
| დინამო | 3:0 | კოლხეთი |
| დილა | 1:3 | ბათუმი |
| მარგვეთი | 0:2 | ოდიში |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოდიში | 7 | 6 | 1 | 0 | 15:1 | 19 |
| დინამო | 6 | 6 | 0 | 0 | 22:3 | 18 |
| თსუ | 8 | 5 | 2 | 1 | 14:8 | 17 |
| მერანი | 8 | 5 | 1 | 2 | 15:8 | 16 |
| კოლხეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 20:11 | 13 |
| მორკინალი | 8 | 3 | 4 | 1 | 10:6 | 13 |
| ბათუმი | 7 | 3 | 3 | 1 | 12:6 | 12 |
| ტორპედო | 8 | 2 | 4 | 2 | 12:12 | 10 |
| დილა | 8 | 3 | 1 | 4 | 7:13 | 10 |
| სამგურალი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:21 | 8 |
| გურია | 8 | 1 | 4 | 3 | 8:14 | 7 |
| მეტალურგი | 8 | 2 | 0 | 6 | 5:12 | 6 |
| ლოკომოტივი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:13 | 5 |
| მარგვეთი | 8 | 1 | 2 | 5 | 8:19 | 5 |
| მაღაროელი | 7 | 1 | 0 | 6 | 7:22 | 3 |
| სიონი | 8 | 1 | 3 | 4 | 10:13 | 1 |



გუშინ ეროვნულზე: „დინამო“ — „კოლხეთი“.
პირველი გოლის გამტან ალექსიძეს ამჯერად ქუტიძემ (№3) დაასწრო

სხვა მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მეორე გვერდზე

# ფინალები უქართველებოდ და ბევრი რუსით

გუშინ თბილისში, ქალთა ღია პირველობის ერთეულთა და წყვილთა ფინალებს შორის მოეწყო ლეილა მესხის გაცილება დიდი სპორტიდან. ლეილა მესხისა და ვლადიმერ გაბრიჩიძის შერეული წყვილი ლეილას დიდი ხნის პარტნიორს ევგენია მანიუკოვასა და დავით კაჭარავას ეთამაშა. რა თქმა უნდა, ეს იყო სპექტაკლი და ოთხივე მოთამაშემ, მატჩის კომისარმა ლუბომირ ბრატოვმა და მსაჯთა მთელმა შემადგენლობამ ჩინებული მსახიობური ნიჭი გამოავლინეს და კარგი განწყობა შეუქმნეს მაყურებელს.

დასასრულს კი ლეილა მესხი საზეიმოდ გააცილეს. არაერთმა ადამიანმა საჯაროდ გადაუხადა მადლობა ლეილას მინიჭებული სიხარულისთვის და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში. ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ადეიშვილმა წაიკითხა ედუარდ შევარდნაძის განკარგულება ლეილა მესხის „ღირსების ორდენით“ დაჯილდოების შესახებ.

იხილეთ მეოთხე გვერდი



ლეილა მესხი თავის ბოლო მატჩში

# დაბრუნდება კი?

ბაჯო და „სკუადრა ადურა“ კვლავ გაიყარნენ. ჩეზარე მალდინიმ ინგლისელებთან „საომრად“ ბაჯოს აღარ უხმო. უარყოფილი ფეხბურთელის თქმით, ახლახან მალდინიმ პირადად დაურეკა მას და ამ გადაწყვეტილების შესახებ აცნობა.

— რა დაგიმალოთ და, მეწყინა, გუნდში რომ არ ვარ, მაგრამ, ვიმედოვნებ, ეს ჩემი სანაკრებო კარიერის დასასრული არ იქნება. კარგი კი იქნებოდა, რომში ინგლისელების წინააღმდეგ მეთამაშა, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. მიუხედავად ამისა, მაინც ვთვლი, რომ პირადი საქმეები კარგად მიმდის. რაც ბოლონიაში გადავედი, ცხოვრებაში ბევრი რამ შემეცვალა. რაც შეეხება ნაკრებს, ვფიქრობ, რომ მალდინი ისევ დამიძახებს, ინგლისელებთან ჩემი გამოუძახებლობის მთავარი მიზეზი კი ახალგაზრდა, მეტად ძლიერი კონკურენტები არიან — განუცხადა 1993 წლის მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა „გაძეტა დელო სპორტს“.

ასეა თუ ისე, ყველაზე ცნობილი მოთამაშე ბუდისტი კვლავ გამოაკლდა ნაკრებს. თავად ბაჯოს დაბრუნების იმედი აქვს. რამდენად რეალურია ეს, არავინ უწყის.

## წყალტუბო „26 მაისი“ 5 ოქტომბერი

### სამგურალი 2:1 თსუ

**სამგურალი:** ბობოხიძე, ლ. ქობულაძე, მახვილაძე, კოლუაშვილი, გ. ჯანელიძე, ძაგნიძე, დ. ჭელიძე, სუხიაშვილი (ფხაკაძე 82), დარსაძე (ი. ხაჭაპურიძე 72), თევდორაძე (შ. ლონლაძე 55), კ. ჯანაშია

**თსუ:** დოლიძე, ყოლბაია, ვერემჩუკი (გიორგი ქორიძე 46), კობიაშვილი, კანკავა, შალამბერიძე, შ. ჩომახიძე (ბახტაძე 78), ზამთარაძე, რუსია (დ. ჩიგოშვილი 67), მელქაძე, როსტიაშვილი

1:0 ჯანაშია (23), 2:0 დარსაძე (34), 2:1 ყოლბაია (67)

**გაფრთხილება:** ჯანელიძე, ქობულაძე, შალამბერიძე, კოლუაშვილი

**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი)

იუზა კაციტაძე წყალტუბოდან

# სტუდენტები ჩაიჭრნენ

მეორე კვირაა, რაც იმერეთში ამინდი ჭირვეულობს, გუშინაც გადაუღებლად წვიმდა.

სულ რამდენიმე წუთში მოედანი უზარმაზარ ნაირფეროვან ტლაპოს დაემსგავსა და, რა გასაკვირია, თუ თამაში ხისტ, ძალისმიერ ბრძოლაში წარიმართა. მასპინძლებს უკანდასახევი გზა არ ჰქონდათ, რადგანაც მანამდე მხოლოდ ერთხელ იხეირეს, თანაც სტუმრად. სამ შინაურ თამაშში კი ორად-ორი ქულის აღება შეძლეს. თსუ-ც ისეთ მდგომარეობაში გახლდათ, ლიდერობის გახანგრძლივება თუ სურდა, ქულებს იოლად ვერ შეელეოდა.

წყალტუბოელებს მალე გაუღიმა ფორტუნამ. თამაში ახალი დაწყებული იყო, მათ რომ მარჯვენა ფლანგიდან წამოიწყეს იერიში. აქ მცველმა სუხიაშვილი დაანარცხა. ჯარიმა მახვილაძემ დაარტყა. სტუმრებმა უხეიროდ გამოიტანეს ბურთი საკუთარი საჯარიმოდან, იგი ძაგნიძეს მიუვიდა. წყალტუბოელთა ნახევარმცველი უმალ დაუსხლტა ორ მეტოქეს და მეკარესთან პირისპირ გავიდა. დოლიძეს ისღა დარჩენოდა, მოიერიშე წაექცია... ჯანაშიამ პენალტი უნაკლოდ შეასრულა.

მასპინძლები დაწინაურდნენ, მაგრამ ტემპი არ შეუნელებიათ და მალე თსუ-ს კართან კიდევ ერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა. დარსაძე 15 მეტრიდან ოდნავ მახვილი კუთხიდან შეეცადა კარის აღებას, მაგრამ დოლიძე დროზე მიუხვდა და ძელთან გადაეფარა ბურთს. მე-10 წუთზე უკვე სტუდენტებს მიეცათ გატანის ნაღდი შანსი. როსტიაშვილმა ზუსტი პასით რუსია გაიყვანა წყალტუბოელთა გოლკიპერთან პირისპირ, მაგრამ 18 წლის ბობოხიძემ იხსნა თავისიანები, უაღრესად ძნელი ბურთი მოიგერია. ახალგაზრდა მეკარემ, 24-ე და 44-ე წუთებზეც ივარგა, როსტიაშვილს და ყოლბაიას აულო ცბიერი დარტყმები. ამ შუალედში წყალტუბოელებმა მეორეც შეაგდეს: დარსაძემ ითამაშა მაღალოსტატურად, წინ გაგდებულ ბურთს მიჰყვა, გზად ორი მცველი ჩამოიტოვა, ხოლო საჯარიმოში რომ შეიჭრა, წინ გამოსულ მეკარესაც მოჰკრა თვალი და...

თანაბარ პირველ ტაიმში მასპინძლებმა სოლიდური ფორა მოიპოვეს. ლიდერი მეტად რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ იმედი არ გადაუწურავს, შესვენების შემდეგ გაორმაგებული ენერგიით შეუდგა მის გადაჭრას, თუმცა ვერა და ვერ ხეირობდა. წყალტუბოელები თავგანწირვით იბრძოდნენ. მხოლოდ ერთხელ იყო, რომ შეცდნენ. და ეს შეცდომა გოლის ფასად დაუჯდათ. სათამაშოდ ახალშემოსულმა ჩიგოშვილმა მარჯვნიდან მასპინძელთა საჯარიმოში მელქაძე მოძებნა, თავის მხრივ სტუდენტთა კაპიტანმა დროულად შენიშნა კარიდან ხუთიოდ მეტრში ეულად მყოფი ყოლბაია, ზუსტადაც მიაწოდა და ანგარიშში სხვაობაც შემცირდა. სტუდენტებს თამაშის გადარჩენის შანსი მიეცათ და უფრო მძლავრად ეკვეთნენ მეტოქეს, თუმცა, არაფერი გამოუვიდათ. „სამგურალმა“ თავი შეაკლა ლიდერს და პირველი მარცხიც აგემა.

# კარასის ბედი დღეს გადაწყდება

შესაძლებელია, ხვალინდელ მოლდოვა-პოლონეთის მატჩში მასპინძლებს მწვრთნელთა საბჭომ უხელმძღვანელოს. მოლდოვის ფედერაციის პრეზიდენტმა პავლე ჩებანუმ გვითხრა კიდეც — ქართველებთან წაგებას შეიძლება მთავარი მწვრთნელიც შეეწიროსო. ხუთშაბათს პრეზიდენტს რომ შევეხმიანეთ, გვამცნო: ხვალ 12 საათზე ფედერაციის აღმასკომი შეიკრიბება და კარასის ბედიც გაირკვევაო. პარასკევს კი დავუკავშირდით კიშინიოვს, მაგრამ ეს შევიტყვეთ — გარდაცვლილა ვეტერანი მოლდოველი ფეხბურთელი — ილია კატენსუსი, რის გამოც სხდომა დღეისთვის დაუნიშნავთ და, ბუნებრივია, კარასის საკითხიც ჯერ არ გადაწყვეტილა.

## თბილისი ეროვნული 5 ოქტომბერი

### დინამო 3:0 კოლხეთი

**დინამო:** ქანტურია, კალაძე, გუჩუა, დიდავა, ცქიტიშვილი, ჩიხრაძე, კიკნაძე (გოგობერიშვილი 79), ლობჟანიძე, კ. გოგიჩაიშვილი, მუჯირი (ხომერიკი 60), ალექსიძე (გელაძე 87)

**კოლხეთი:** მ. გვასალია, მიქაბერიძე (ქუნთელია 84), ქუტიძე, გიორგაძე, გოროზია (ჩხენკელი 87), ღაღანიძე, ფანჩულიძე, ამაშუკელი, ე. გვასალია, ნივნივაძე, მ. ქობულაძე

1:0 ალექსიძე (64), 2:0, 3:0 ხომერიკი (66, 90)

**გაფრთხილება:** გოროზია, ქუტიძე

**მსაჯი:** მ. მალაღურაძე (თბილისი)

მამუკა კვანტალიანი

# ყოჩაღ, ლიბერო

ყიფიანის კოლეგამ თითქმის ყველაფერი სწორად გათვალა თამაშის ორგანიზაციიდან დაწყებული, მოთამაშეთა განლაგებით თუ ტაქტიკით დამთავრებული, მაგრამ... „კოლხეთმა“ ძალები ვერ გაანაწილა — ოდენ 64 წუთს გაძლო.

თბილისელთა წლევანდელი პრობლემა მაღალი დონის გამთამაშებლის არყოლა გახლავთ. გუნდიდან ჯამარაულის წასვლის შემდეგ ამ პოზიციაზე სასურველი კანდიდატურა ვერ მოიძებნა. მუჯირი ჯერ კიდევ არასტაბილურად თამაშობს. „დინამოს“ თამაშის დალაგება პოტენციურად ცქიტიშვილს ხელეწიფება, მაგრამ ლევანი ყიფიანს ლიბეროდ ჰყავს გამწესებული. სხვები „დირიჟორებად“ ვერ გამოდგებიან. ჰოდა, ცქიტიშვილი ორმაგ სამუშაოს ასრულებს — თანაგუნდელებსაც აზღვევს და „დინამოს“ ყველა მახვილგონივრული იერიშის წამომწყებადაც გვევლინება. თამამად ვიტყვი, შეხვედრა ცქიტიშვილმა მოიგო, რომელსაც, რა თქმა უნდა, ბოლო თამაშების გმირი ალექსიძე უბამდა მხარს. სწორედ ლევანის ჩინებულმა პასმა გაიყვანა გვასალიასთან პირისპირ მანამდე კარგად გახსნილი რატი და გოლმაც არ დააყოვნა. ორ წუთში უკვე ალექსიძემ ინდივიდუალური გარღვევა საჯარიმოში ჩაწოლებით დაასრულა, ბურთს ხომერიკმა დაჰკრა თავი და გვასალია მეორედ გაამწარა. ბოლო წუთზე კი გოგობერიშვილმა უპრობლემოდ გაიარა კოლხთა მოშლილი დაცვა და ბურთი ხომერიკს მიაწოდა. მეკარის პირისპირ ეულად დარჩენილმა კი წერტილი დასვა.

## პორტუგალია

### ბრაგა 1:1 ბენფიკა

0:1 ნუნუ გომეში (3), 1:1 ტონი დუარტე (26)

დედაქალაქის „ბენფიკამ“, რომელიც ამ ბოლო დროს ერთობ დაჩანჩალდა, კვლავ უსუსურად ითამაშა და შედეგიც ზედგამოჭრილი მიიღო. ლისაბონელებმა ჩემპიონატის პირველ ტურში მოგების შემდეგ ვერ იქნა და ველარ იმარჯვეს და, ცხადია, ცხრილში დაქვეითებაც ვერ აიცდინეს. ერთ დროს ევროპის საუკეთესო კლუბის ახლანდელმა საშუალო კლასის ფეხბურთელებმა უკვე მესამე წუთზე გახსნეს ანგარიში — თბილისში „ბოავიშტას“ შემადგენლობაში ნათამაშევმა ნუნუ გომეშმა ბოლივიელი, პლატინად მონათლული ერვინ სანჩესის პასით იხეირა. მიუხედავად ამისა, „ბენფიკა“ ლიდერობამ ცოტა არ იყოს დააბნია და აწ უკვე ჩვენებური „დინამოს“ მორიგმა საევროთასო მეტოქემ „ბრაგამ“ გაყამება აღარ დააყოვნა — ტონი დუარტემ იმ დროს იხეირა, კარიდან ასე 8-9 მეტრში რომ იყო. მატჩიც ასევე დასრულდა, თუმცა, სტუმრებს ბედმა აშკარად გაუღიმა — 44-ე წუთზე ჯერ მლადენ კაროგლანმა შეარხია ხარიხა, შესვენებიდან სამ წუთში კი პაულუ ლინუმ იგივე გაიმეორა. მეორე ტაიმში იყო კიდევ ერთი მომენტი — 62-ე წუთზე „ბენფიკამ“ მაროკოელი ნახევარმცველი კალეჟ ტაჰარი მოისაკლისა. ისე, ეს „ბრაგაც“ დიდი უხეში ვინმეა — ჩემპიონატის მეექვსე ტურია და უკვე ოთხი ფეხბურთელი ჰყავს გაძევებული.

**სხვა მატჩები:** ლეცა — ბელენენსეში 1:1, კამპომაიორენსე — ამადორა 2:0, აკადემიკა — ვარზიმი 1:1, შავეში — გიმარაეში 1:2, რიუ ავე — მარიტიმუ 2:0, სპორტინგი — სალგეიროში 2:1. სეტუბალი — პორტუ და ფარენსე — ბოავიშტა დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 5 | 5 | 0 | 0 | 14:2 | 15 |
| გიმარაეში | 6 | 5 | 0 | 1 | 10:5 | 15 |
| რიუ ავე | 6 | 4 | 0 | 2 | 11:9 | 12 |
| მარიტიმუ | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 11 |
| სპორტინგი | 6 | 3 | 2 | 1 | 5:2 | 11 |
| ბრაგა | 6 | 2 | 4 | 0 | 10:8 | 10 |
| ვარზიმი | 6 | 2 | 3 | 1 | 4:4 | 9 |
| ფარენსე | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| აკადემიკა | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | 8 |
| სალგეიროში | 6 | 1 | 3 | 2 | 8:6 | 6 |
| ბენფიკა | 6 | 1 | 3 | 2 | 7:6 | 6 |
| სეტუბალი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| ამადორა | 6 | 1 | 2 | 3 | 4:10 | 5 |
| კამპომაიორენსე | 6 | 1 | 2 | 3 | 4:10 | 5 |
| ბოავიშტა | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| ლეცა | 6 | 0 | 3 | 3 | 5:8 | 3 |
| ბელენენსეში | 6 | 0 | 3 | 3 | 4:10 | 3 |
| შავეში | 6 | 1 | 0 | 5 | 3:9 | 3 |

## FRANCE 98 შესარჩევი ტურნირი

### აზია

**ყაზახეთი 1:1 იაპონია**

0:1 აკიტა (22), 1:1 იევტიევი (90)

**კორეა 3:0 საამიროები**

1:0 სუკ იუ (7), 2:0 სენ ჩული (72), 3:0 სენ ლუნი (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კორეა | 4 | 4 | 0 | 0 | 10:3 | 12 |
| საამიროები | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| იაპონია | 4 | 1 | 2 | 1 | 8:6 | 5 |
| ყაზახეთი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:9 | 2 |
| უზბეკეთი | 4 | 0 | 1 | 3 | 7:12 | 1 |

### კონკაკაფი

**აშშ 1:1 იამაიკა**

1:0 ვინალდა (49), 1:1 გუდისონი (88)

**მექსიკა 5:0 სალვადორი**

1:0 გალინდო (30), 2:0 გარსია ასპე (35), 3:0 გალინდო (38), 4:0 საგე (47), 5:0 ლუის გარსია (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 6 | 4 | 2 | 0 | 18-2 | 14 |
| იამაიკა | 8 | 3 | 3 | 2 | 5-10 | 12 |
| აშშ | 7 | 2 | 4 | 1 | 10-7 | 10 |
| სალვადორი | 8 | 2 | 3 | 3 | 7-10 | 9 |
| კოსტა რიკა | 8 | 2 | 2 | 4 | 7-8 | 8 |
| კანადა | 7 | 1 | 2 | 4 | 2-12 | 5 |

# გვიან იქნება თითზე კბენანი

**თბილისი**
**„სინათლე"**
**4 ოქტომბერი**

**მერანი 1:0 ტორპედო**

**მერანი:** გვენცაძე, ჯიშკარიანი (ე. ალადაშვილი 80), გოგიტაძე, სიდამონიძე, კაკუბავა, გელა ქორიძე (დანელია 77), ინიაშვილი, ცქიფურიშვილი, ბაბულაიძე, გოდერძიშვილი (ბუხრიკიძე 88), დავითაშვილი
**ტორპედო:** ასლანაძე, ხვადაგიანი, თურმანიძე, შ. ხუჯაძე, მაღლაკელიძე, გეწაძე, ქ. კვეტენაძე, ქებაძე (გ. მეგრელაძე 61), დ. ჯანაშია, იონანიძე, ჩხეტიანი (ნოზაძე 11)
1:0 გოდერძიშვილი (43)
**გაფრთხილება:** ხვადაგიანი, ბუხრიკიძე
**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**კობა ინასარიძე**

ჩემპიონატამდე „დინამოს" უმთავრეს მოცილედ ყველა „ტორპედოს მიიჩნევდა. მაგრამ რა გამოვიდა? უკვე რვა ტური მიილია, ქუთათურები კი ჯერაც ვერ აწყობილან. თანაც ისეთი ქულები დაკარგეს, ჩემპიონატის ბოლოს სანანებელად ექნებათ. ყოველ შემთხვევაში, საქმეს თუ დროზე არ მიხედეს, მერე თითზე კბენანი გვიანი იქნება. მართალია, „ტორპედოს" ხელმძღვანელები ერთობ ცდილობენ, გუნდს მწვრთნელად სერგო კუტივაძე დაუნიშნეს, რუსეთიდან დაბრუნებულ ჯანაშიასა და იონანიძესაც ნორმალურ პირობებზე შეუთანხმდნენ, მაგრამ „მერანთან" შეხვედრისას მაინც არაფერმა უშველათ. არადა, სანამ გოდერძიშვილი გოლს გაიტანდა, სტუმრებს ორჯერ ისეთი მომენტი გაუცუდდათ, უგოლოდ დასრულება ნამდვილად საცოდაობა იყო. „ტორპედოს" ორჯერვე ჯანაშიამ უმტყუნა — ორჯერვე ქებაძის წამოწყებული იერიშის შემდეგ. ჯერ, 32-ე წუთზე, ქებაძემ ბურთი იმდენ ხანს ათრია, სანამ მცველებს ელემენტარული შეცდომა არ დააშვებინა. გვენცაძის ცხვირწინ დარჩენილ ჯანაშიას ისღა დარჩენოდა, ბურთი ნახევარი მეტრით იქით ან აქეთ დაერტყა და გოლიც გარდაუვალი იქნებოდა, მაგრამ მან მაინცდამაინც მეკარეს უმიზნა. ორ წუთში ისევ ქებაძემ გააცურა სიდამონიძე და გვენცაძე ჯანაშიასთან მიგორებულ ბურთს კი ცარიელ კარში მდგომი გოგიტაძის ფეხი დახვდა და ამან იხსნა მერანელები. სტუმართა უპირატესობა თვალშისაცემი იყო, თბილისელთა აქტიურობის ნახევარ საათს კი უკვე გაევლო, რასაც მასპინძლებმა გოლის გატანის მინიმუმ ორი შესაძლებლობა გააყოლეს: პირველად გეწაძის უხეში შეცდომისას ასლანაძესთან თითქმის პირისპირ დარჩენილი გოდერძიშვილის ძლიერი დარტყმული მეკარემ და ძელმა ერთად მოიგერია, ხოლო მეორედ გოდერძიშვილსვე ფეხი ბურთზე ოდნავ წინ გაექცა, ქუთაისელ მცველთა უყურადღებობით ვერ ისარგებლა და მომენტი ხელიდან გაუშვა.

შესვენებამდე ორი წუთით ადრე სტუმრებმა, როგორც იქნა, თამაში დაალაგეს და მორიგი შეტევის ორგანიზება სცადეს. ჯანაშიამ ცენტრთან ახლოს ქორიძეს ჩააბარა ბურთი, ამანაც არ დააყოვნა და გოდერძიშვილს მესამე ცდიდან მაინც გაატანინა — საჯარიმოს ხაზიდან შორეულ კუთხეში დარტყმულს ასლანაძე ველარ მიწვდა. გოლი იმდენად მოულოდნელი იყო, თავად მერანელებსაც გაუკვირდათ და დარჩენილი ორი წუთი თავიანთი სიხარულის გამოსახატავად არც ეყოთ. გუნთაძესაც ზედიზედ მოუხდა ჩასტვენა: ჯერ გოლი დააფიქსირა, მერე გუნდებს გასახდელისკენ გაუძღვა.

შესვენების შემდეგ ყველაფერი ბუნებრივი იყო. „ტორპედო" ლამის მთელი გუნდით უტევდა, ორგანიზებულადაც და ქაოსურადაც საპასუხო გოლის გატანას ცდილობდა, მაგრამ თბილისელთა გონივრულ და თავდადებულ თამაშს ვერაფერი მოუხერხა. საინტერესო მხოლოდ ის მოხდა, რომ შეცვლაზე ახალშესულ მეგრელაძეს ბურთთან თავისი პირველივე შეხება გოლად შეეძლო ექცია, თუმცა, ნახევარი მეტრიდან ააცილა.

იმერლებმა ვერც ამჯერად იხეირეს. მათ თითქოს რაღაც აკლიათ — თუ რა, ამას ტორპედოელთა მწვრთნელ-ხელმძღვანელობა ალბათ, უკეთ მიხვდება. იმედია, შაბათს დაშვებულ შეცდომებს შემდეგისთვის მაინც გაითვალისწინებს.

# სომხური ნავსი გატყდა

**გორი**
**ცენტრალური**
**5 ოქტომბერი**

**დილა 1:3 ბათუმი**

**დილა:** ილურიძე, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე (თაყაძე 56), ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, წკრიალაშვილი (ჯალაბაძე 69), მარჯაშვილი, აკოფიანი, შატაკიშვილი, ციცქიშვილი, მ. მინდიაშვილი
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე (ფუტკარაძე 80), სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ქიქველიშვილი, მაჭუტაძე, ჩუხუა (აფხაზავა 78), მაქაცაქია (კანტიძე 46)
0:1 მაჭუტაძე (20), 1:1 მ. მახარაძე (საკ. კარში 23), 1:2 მაჭუტაძე (31), 1:3 სიჭინავა (54)
**მსაჯი:** ე. სილაგავა (თბილისი)

**კობა ინასარიძე გორიდან**

როგორც იქნა, „არარატთან" დათარსულმა „ბათუმმა" მოიგო, თანაც ისე შთამბეჭდავად, გორელებს ქულის მოპოვების შანსიც არ დაუტოვა. სტუმართა უპირატესობაში ანგარიშიც კარგად დაგარწმუნებთ, მაგრამ ყველაზე სასიამოვნო მათი დაწყობილი თამაშია.

მართალია, პირველ 15 წუთში მასპინძლები უფრო მონდომებულნი ჩანდნენ, ერთი-ორჯერ სახიფათოდ შეტევაც სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ბათუმელებმა ნელ-ნელა გაათანაბრეს თამაში, მოედნის ცენტრს სრულად დაეპატრონენ და გოლიც ლოგიკურად შეაგდეს. შუა ხაზიდან დაწყებული შეტევისას ჩუხუამ რამდენიმე გორელ მცველს ჩამოუარა, კარგად გახსნილი მაჭუტაძე შენიშნა და ორ მცველს შუა ისე მიაწოდა ბურთი პარტნიორს, ილურიძესთან პირისპირ დატოვა. მაჭუტაძემაც უპრობლემოდ გაიტანა. სამი წუთიც არ გასულიყო, რომ ახლა მალხაზ მახარაძემ „გამოიჩინა თავი" — იგიც, მაჭუტაძის მსგავსად, ბომბარდირად ითვლება თავის გუნდში, ოღონდ... საკუთარ კარში ვატანილი ვოლებით. ბათუმელთა კაპიტანმა პირველად ჭიათურაში შეაგდო, ამჯერად კი ხაჭაპურიძის ჩაწოდებული აეჭრა ფეხიდან და ანგარიშიც გათანაბრდა. „ცოდვილმა" მახომ ავტოგოლიდან შვიდი წუთის შემდეგ „მოინანია" — ბალაშვილის გამოზომილმა პასმა ციცქიშვილი ტოგონიძესთან ერთი-ერთზე დატოვა, მახარაძემ კი ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი. სულ ეგ იყო, „დილას" ხეირიანად მეტად აღარ შეუწუხებია სტუმრები. მეორე ტაიმში ბევრს კი ცდილობდნენ, განსაკუთრებით მესამე გაშვებული გოლის შემდეგ, მაგრამ ხან მცველები, ხან კიდევ ტოგონიძე თამაშობდა ჩვეული ოსტატობით. რაც შეეხებათ ბათუმელებს, ცოტა რომ არ დაზარებოდათ, ერთი ამდენის გატანაც არ გაუჭირდებოდათ. დარჩენილი ორი გოლის წვრილად აღწერასაც აზრი აღარ აქვს. ერთხელ ჩუხუას დარტყმულს მიუსწრო მაჭუტაძემ, მეორედ კი სიჭინავამ დააგვირგვინა მეტად ორიგინალური კომბინაცია.

მოკლედ, „ბათუმმა" სტუმრად პირველად მოიგო და ცხრილშიც აინაცვლა.

# ბა-მახარაძემ, კიდევ მრთხელ...

**რუსთავი**
**„ფოლადი"**
**5 ოქტომბერი**

**მეტალურგი 0:2 ლოკომოტივი**

**მეტალურგი:** კოროშინაძე, გაბელაია, ბექაური, პატარიძე (ნ. მინდიაშვილი 56), მ. სახვაძე, ზირაქაძე, მელაძე, არსოშვილი (ფაცურია 60), კედელაშვილი, დ. გოგოლაძე, ჯ. ალადაშვილი (მიშველიძე 68)
**ლოკომოტივი:** ვოლკოვი, დიმიტრიაშვილი, ქვარცხავა, ბარნოვი, ჟორჟიკაშვილი, გამცემლიძე, ბ. კვეტენაძე, ქველაძე, დაუშვილი, გვაზავა (მესხიძე 39, კ. ჩიგოშვილი 86), კოტორაშვილი (ერაძე 46)
0:1, 0:2 დაუშვილი (53, 67)
**გაფრთხილება:** კოტორაშვილი, გამცემლიძე, ქველაძე
**მსაჯი:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**მერაბ მამულაშვილი რუსთავიდან**

„ლოკომოტივმა" წელს სამი მწვრთნელი შეიცვალა, თუმცა ჟორჟიკაშვილიცა და კოტრიკაძეც გუნდში დარჩნენ. პრეზიდენტი ქინქლაძე გამოცდილ ბაზიერს ეძებდა. რუსთავის შეხვედრამ იგი გადაწყვეტილების სისწორეში დაარწმუნა: თემურ მახარაძის დაბრუნება მისთვისაც იღბლიანი გამოდგა და მისი ახალი გუნდისთვისაც. „ლოკომოტივმა" მერვე ტურში პირველად გაიმარჯვა. თანაც მეტად დამაჯერებლად — უფრო სოლიდური ანგარიშით მოგებაც შეეძლო.

მეორე ტაიმი თვალსაჩინოდ ასახავდა მეტოქეთა შორის განსხვავებას. ორიოდ კვირის წინ ინდივიდუალისტებად დაშლილი გუნდი რუსთავში მახარაძემ შეკრულ კოლექტივად წარადგინა. სწორედ ეს გამოარჩევდა სტუმრებს „მეტალურგისგან", რომელიც მეტად ქაოსურად ცდილობდა წარმატების მიღწევას. თბილისელები კი შეტევებს მშვიდად ხვდებოდნენ და სწრაფად ახორციელებდნენ უმწვავეს კონტრშეტევებს. ორჯერ გამცემლიძეს და ერაძეს შეეძლოთ უნაღდესი საგოლე მომენტების გამოყენება. ეს საქმე ისევ წლევანდელი ჩემპიონატის აღმოჩენამ, კახი დაუშვილმა იკისრა. მან ორი უმშვენიერესი გოლი გაიტანა და ორივე უდავოდ აღსანიშნავია. ჯერ იყო და გამცემლიძე-მესხიძე-ერაძის გათამაშებული ბურთი ფეხზე შეუჩერებლივ მოირგო და ცხრიანში ჩასვა. მეორეც ცხრიანში გაიტანა — კუთხური თანაგუნდელთან გაითამაშა და კვლავ ულამაზესად გაისროლა. კუთხური კი სწორედ მის ლამაზ თაურს მოყვა.

რუსთაველებს კი არც ეფეხბურთებათ. ისინი თამაშზე სართოდ უარს ამბობდნენ, ბოლოსღა დაიყოლეს მეტალურგთა თავკაცებმა, დაჰპირდნენ, დავალიანებას 15 ოქტომბრისთვის დაგფარავთო.

# ზარები და დაფდაფები

**ზესტაფონი**
**ცენტრალური**
**5 ოქტომბერი**

**მარგვეთი 0:2 ოდიში**

**მარგვეთი:** მერკვილიშვილი, ბინაძე (ტოკლიკიშვილი 46), ჟვანია, ლანჩავა, ფოფხაძე (მ. ლონლაძე 46), კაციაშვილი, სულაკაძე, მოსიკაშვილი, ფოცხვერაშვილი, მაღრაძე, ხეტეშვილი
**ოდიში:** სოლოლაშვილი, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ანჯაფარიძე, ტყემალაძე, ებრალიძე, ჩადუნელი, ენდელაძე (რევაზიშვილი 81), კაიდარაშვილი (თოლორდავა 87), წიტაიშვილი (ივეჩიანი 85), კალანდაძე
0:1 კალანდაძე (35 პ), 0:2 წიტაიშვილი (80)
**გაფრთხილება:** ლონლაძე, ჟვანია, ებრალიძე
**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**ბესიკ ჯანგავაძე ზესტაფონიდან**

„მარგვეთს" ასე ცუდად ჯერ არ უთამაშია. ან როგორ ეთამაშა, როცა გუნდი უპატრონოდაა მიგდებული და სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ფეხბურთელებს წვიმიანში სათამაშო ბუციც კი არ გააჩნიათ. არადა, ზესტაფონში გადაუღებლად წვიმდა და მასპინძელთა ბაზაზეც წყალი, როგორც ონკანიდან, ისე ჩამოდიოდა. თამაშზე გასვლას სულაც არ აპირებდნენ...

მატჩის წინ სტუმრებიც აწუწუნდნენ, ახლა ისე ვერ ვართ ფინანსურად, როგორც გვეკადრებაო, მაგრამ ამათი გუნდის შემყურე ამას ვერ იტყოდით. ზუგდიდელებს ქომაგებიც ბლომად ჩამოჰყვნენ და მათი შეძახილები, სიმღერები და დაფდაფების ცემა თამაშს სხვა ელფერს სძენდა.

სტუმრებმა თავიდანვე შეუტიეს. გატანაც შეეძლოთ, მაგრამ მასპინძლებს ჯერ კარის ძელმა უშველათ, მერე თავგანწირვით მოთამაშე მერკვილიშვილმა. „მარგვეთმა" თამაში ტაიმის შუაგულისკენ ააწყო და გოლიც მაშინ მიიღო: მერკვილიშვილმა პირისპირ გასული წიტაიშვილი საჯარიმოში წააქცია. კალანდაძემ შანსი ხელიდან არ გაუშვა და ანგარიში გახსნა.

II ტაიმში მომხდარმა ცვლილებებმა მასპინძელთა თამაში გამოაცოცხლა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. ის კი არა, შეტევებში გართულთ წიტაიშვილი გაეპარათ, რომელმაც მეკარის გვერდის ავლით ბურთი ცარიელ კარში შეაგორა.

ზუგდიდელებს დაფდაფების ცემა ახალისებთ, მარგველები კი, კარგა ხანია, განგაშის ზარებს უნდა რეკდნენ.

**ლანჩხუთი**
**„ევგრაფი შევარდნაძე"**
**5 ოქტომბერი**

**გურია 3:1 მაღაროელი**

**გურია:** გოგუა, ლურჯკაია, კვეკვესკირი, გ. ჭელიძე, ჯაშიაშვილი, თიბილაშვილი (თ. გოგიჩაიშვილი 84), ქიქავა, განევი (გაბუნია 80), ჩხეტია, ბერიძე (ლორია 68), ბულუხია
**მაღაროელი:** გველესიანი, ტეფნაძე, იობაშვილი, ასანიძე, მ. გაბრიჭიძე, ჩიკვილაძე, შუყლაშვილი, ბუიშვილი, თ. სამხარაძე (მენაბდიშვილი 74), კავთელაძე, მწყერაშვილი
1:0 განევი (11), 2:0 ბერიძე (13), 3:0 კვეკვესკირი (70 პ), 3:1 ბუიშვილი (86)
**გაფრთხილება:** ჯაშიაშვილი, თიბილაშვილი
**მსაჯი:** გ. ასკარ-ოღლი (ლანჩხუთი)

## საფრანგეთი

X ტური

**ლე ავრი 1:1 მონაკო**
1:0 პოჟე (75), 1:1 იკპება (85)

**მარსელი 2:0 ტულუზი**
1:0 ბლანი (4), 2:0 მოუზისი (60)

**გინგამი 0:1 ლიონი**
0:1 ბარდონი (39)

**მონპელიე 0:1 ბორდო**
0:1 ლასლანდი (85)

**ბასტია 5:1 კანი**
1:0 სილიაკი (4), 1:1 ლერუა (8), 2:1 გოელი (28), 3:1 სილიაკი (44), 4:1 პერესი (86), 5:1 ჟურიეტი (89)

**ლანსი 1:0 შატორუ**
1:0 ზიანი (32)

**ოსერი 4:0 რენი**
1:0 სიბერსკი (13), 2:0, 3:0 გივარში (443, 50), 4:0 ლეპოლი (76)

**ნანტი 0:0 პსჟ**

**სტრასბური 2:0 მეცი**
1:0 ნუმა (58), 2:0 დაკურტი (68)

# უკუღმართი ლიონი

ევროთასებზე მონაწილე ფრანგული გუნდების უმეტესობამ პირველი ბარიერი კი გადალახა, მაგრამ წილისყრამ ფრანგებს მეორე წრეში ისეთი მეტოქეები არგუნა, „ოსერის" გარდა ხასიათი, ალბათ, ყველას გაუფუჭდა. რადგან ევროპულ სარბიელამდე ჯერ შორია, გუნდებმა შინაურ ასპარეზზე იბრძოლეს და ზოგიერთებმა სენსაციებიც მოახდინეს.

რად ღირს თუნდაც „ლე ავრის" შესანიშნავი თამაში, რომლის წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგაში ლევერკუზენელთა გამანადგურებელმა „მონაკომ" ვერაფერი გააწყო. შედარებით უსახელო მეტოქე უფრო ტიტულოვან სტუმარს არ შეუშინდა და მედგარი წინააღმდეგობაც გაუწია. სირილ პაჟეს გოლამდე რეალური სახიფათო მომენტი ჩემპიონთა საჯარიმოში უფრო ხშირად იქმნებოდა, ვიდრე მასპინძელთა კართან. ხშირ შეტევებს შედეგიც მოჰყვა: პოჟემ, მას შემდეგ, რაც ორ მონაკოელ მცვლეს გასცდა, მეკარეს აუღებელი დაურტყა. კოლმა ტიგანას ბიჭები გამოაფხიზლა, მაგრამ კინაღამ მეორედაც დაისაჯნენ — იმავე პეჟომ მარჯვენა ძელი შეაზანზარა. მისგან განსხვავებით, ჩემპიონთა ლიგაში დუბლის შემსრულებელმა ვიქტორ იკპებამ მიზანი გაისწორა და საზეიმოდ გამზადებულ მასპინძლებს სიხარული ჩაუშხამა.

გვიხარია, აქედან ქულა რომ მიგვაქვს. მეტოქე გამარჯვების ღირსი იყო. გვაჯობა და უნდა მოეგო კიდეც, მაგრამ ბედად, გადავრჩით. დღეს უძლიერესი „ლე ავრი" გვეპაექრებოდა. არაა დასამალი — ევროთასების შემდეგ შინაურ ასპარეზობებს მიბრუნებული გუნდი სუსტად თამაშობს. ასე დაგვემართა ჩვენც, მაგრამ ეს არაფერია. წელს ჩვენი მიზანი ტიტულის შენარჩუნებაა, რისთვისაც ბოლომდე ვიბრძოლებთ — განაცხადა ტიგანამ, შემდეგ კი „ბასტიასთან" მომავალი მატჩზე გაამახვილა ყურადღება — ხომ ნახეო, ამათ „კანი" რა დღეში ჩააგდესო.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა მარსელელთა მატჩი. ფეხბურთის ქომაგები მოუთმენლად ელოდნენ რავანელის დებიუტს, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ — იტალიელს სურდო შეჰყროდა და გუნდის თავკაცებს იგი დაესვენებინათ. „გულშემატკივრებს იმ... გავუწბილეთ, მაგრამ ასე რომ არ... [illegible] ... ცხრა მატჩი ჩავატარეთ და მეათე... ტომ უნდა გაგვეწირა?! ხალხს... დომს ვუხდით, თუმცა, ვერც იმას... პირდებით, რავანელი ზუსტად რ... ითამაშებს — განაცხადა კლუბის... მჯდომარემ ჟან მარი რუსიემ. მარს... ლთა ნახევარმცველმა ერიკ რუ... თქვა, ამჯერადაც დავამტკიცეთ, ... გუნდი რომ ვართ, ახლა, იმედია, ... რადაც ვიმარჯვებთო. რუამ ამაზე... ტომ გაამახვილა ყურადღება, რომ... სული სეზონიდან მოყოლებული... სელი" ერთადერთი გუნდია, სტუ... რომ არ მოუგია.

რაც შეეხება სხვა თამაშებს, გამ... რჩევი უეფას თასიდან „ბენფიკას"... მომგდები „ბასტიას" ბრწყინვალე ... რჯვებაა. კორსიკელებმა აშკარად ს... მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს, ანგ... ში არასაფეხბურთო შეიძლებოდა ... ფილიყო, ბოლო 15 წუთში „კანის" ... ბურთი სამჯერ რომ არ მოხვედრ...

„ჩემმა გუნდმა ბრწყინვალე მომენ... აქცია გოლად. ვგრძნობ, უფრო და უ... თავდაჯერებულნი ვხდებით, რაც ... მატჩების მიღწევაში ძალიან დაგვე... რება. ჩემი აზრით, ასეთი თამაშით... „მონაკოს" ძლევა უნდა გაგვეჭირ... — განაცხადა კუნძულელთა თავ... ფრედერიკ ანტონეტიმ, რომელსაც ... ტომბერს დაბადების დღე ჰქონდა.

უეფას თასის პირველი ეტაპის ... ერთმა გამარჯვებულმა „ლიონმა" ... მრად დაამარცხა 1996 წელს ინტერ... ტოს თასზე ფოთში „კოლხეთი 1913"... მძლეველი „გინგამი". ისე, ლიონელ... თვის ამ სეზონში ეს სტუმრად მოპ... ბული მეოთხე გამარჯვება იყო, რაც ... ბის თავკაცს ბერნარ ლაკომბს ძლ... გაჰკვირვებია — რატომ ხდება, ს... მრად უფრო მეტს რომ ვიგებთ, ... გამიგიაო. „ნელ-ნელა ვხვდები, რომ... ჭებს შინ თამაში უჭირთ. დახედეთ... დეგებს, ციფრებიც ამაზე მეტყველ... ვფიქრობ, მიზეზი ჩვენსავე თავშია... ძებნი. იმედია, მომავალ საშინაო მა... თავს არ შევირცხვენთ" — განაც... ლაკომბმა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 10 | 7 | 2 | 1 | 18:8 |
| პსჟ | 10 | 6 | 3 | 1 | 20:8 |
| ბორდო | 10 | 6 | 2 | 2 | 15:13 |
| ბასტია | 10 | 5 | 3 | 2 | 15:8 |
| ლანსი | 10 | 5 | 3 | 2 | 14:7 |
| მონაკო | 10 | 5 | 2 | 3 | 17:11 |
| მარსელი | 10 | 5 | 2 | 3 | 12:9 |
| ლიონი | 10 | 5 | 0 | 5 | 13:13 |
| ტულუზი | 10 | 4 | 3 | 3 | 9:12 |
| გინგამი | 10 | 4 | 2 | 4 | 10:10 |
| ოსერი | 10 | 4 | 0 | 6 | 18:16 |
| სტრასბური | 10 | 2 | 4 | 4 | 10:14 |
| რენი | 10 | 2 | 3 | 5 | 10:19 |
| ნანტი | 10 | 2 | 3 | 5 | 6:9 |
| მონპელიე | 10 | 1 | 5 | 4 | 9:13 |
| შატორუ | 10 | 2 | 2 | 6 | 8:18 |
| ლე ავრი | 10 | 1 | 4 | 5 | 11:15 |
| კანი | 10 | 2 | 1 | 7 | 9:21 |

**ბომბარდირები**

სტეფან გივარში (ოსერი)
ვიქტორ იკპება (მონაკო)
მარკო სიმონე (პსჟ)
ლილიან ლასლანდი (ბორდო)
ბრუნო როდრიგესი (მეცი)
ფლორიან მორისი (პსჟ)

## რუსეთი

30-ე ტური. ალანია — ჟემჩუჟინა 4:1; დინამო — შინიკი 3:0; ბალტიკა — ცსკა 1:1; ნ. ნოვგოროდი — სპარტაკი 2:3; კრილია — ზენიტი 1:0; როსტსელმაში — კამაზი 2:1; ტიუმენი — როტორი 0:0; ფაკელი — ტორპედო 2:3. ლოკომოტივი — ჩერნომორეცი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 30 | 19 | 6 | 5 | 58:26 | 63 |
| როტორი | 30 | 18 | 7 | 5 | 50:24 | 61 |
| დინამო | 30 | 17 | 9 | 4 | 41:17 | 60 |
| ლოკომოტივი | 29 | 12 | 9 | 8 | 40:30 | 45 |
| ჩერნომორეცი | 29 | 11 | 12 | 6 | 32:22 | 45 |
| ტორპედო | 30 | 13 | 5 | 12 | 45:38 | 44 |
| ალანია | 30 | 13 | 4 | 13 | 48:33 | 43 |
| კრილია | 30 | 12 | 7 | 11 | 27:26 | 43 |
| შინიკი | 29 | 11 | 10 | 8 | 30:32 | 43 |
| ზენიტი | 30 | 11 | 9 | 10 | 21:24 | 42 |
| როსტსელმაში | 30 | 9 | 13 | 8 | 32:30 | 40 |
| ბალტიკა | 30 | 8 | 15 | 7 | 33:33 | 39 |
| ჟემჩუჟინა | 30 | 10 | 6 | 14 | 31:42 | 36 |
| ტიუმენი | 30 | 9 | 6 | 15 | 25:39 | 33 |
| ცსკა | 30 | 8 | 8 | 14 | 22:40 | 32 |
| ფაკელი | 30 | 7 | 3 | 20 | 22:41 | 24 |
| კამაზი | 30 | 7 | 3 | 20 | 33:65 | 24 |
| ნ.ნოვგოროდი | 29 | 5 | 4 | 20 | 22:50 | 19 |

## ბელგია

მე-8 ტური. ვესტერლო — ლიერსი ...; ბევერენი — ანტვერპენი 0:2; ანდერლეხტი — ლოკერენი 5:0; ლომელი — მუსკრონი 1:0; სენტ ტრიუდენი — სტანდარდი 0:0; ბრიუგე — გენკი 2:0; ეკერენი — გენტი 1:3; ჰარელბეკე — მოლენბეკი 4:1; აალსტი — შარლერუა 7:2

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 7 | 7 | 0 | 0 | 21:4 |
| ლომელი | 8 | 6 | 1 | 1 | 20:8 |
| გენკი | 8 | 5 | 1 | 2 | 19:10 |
| ჰარელბეკე | 8 | 3 | 4 | 1 | 13:8 |
| ეკერენი | 8 | 4 | 1 | 3 | 16:13 |
| ლიერსი | 8 | 3 | 2 | 3 | 16:12 |
| ვესტერლო | 8 | 3 | 2 | 3 | 15:18 |
| შარლერუა | 8 | 3 | 2 | 3 | 10:18 |
| აალსტი | 8 | 2 | 3 | 3 | 14:12 |
| გენტი | 8 | 2 | 3 | 3 | 14:14 |
| სტანდარდი | 8 | 2 | 3 | 3 | 9:9 |
| მუსკრონი | 8 | 2 | 3 | 3 | 7:7 |
| ანდერლეხტი | 7 | 3 | 0 | 4 | 9:10 |
| ლოკერენი | 8 | 3 | 0 | 5 | 10:22 |
| მოლენბეკი | 8 | 2 | 1 | 5 | 9:17 |
| ბევერენი | 8 | 1 | 3 | 4 | 8:13 |
| სტ. ტრიუდენი | 8 | 1 | 3 | 4 | 4:14 |
| ანტვერპენი | 6 | 1 | 0 | 5 | 7:16 |

## გერმანია

IX ტური

**არლსრუე 2:1 ვოლფსბურგი**
რეგისი (8), 2:0 სხეპენსი (24), 2:1 აისნერი (88)

**ბოხუმი 2:3 ბაიერნი**
გულუნოღლუ (16), 1:1, 1:2 ბასლერი (23, 34), 1:3 ციკლერი (56), 2:3 იურანი (63)

**შალკე 04 1:0 ჰერტა**
ვილმოტსი (54)

**ლევერკუზენი 2:1 დუისბურგი**
სალუ (5), 1:1 პეიტო (11 ს.კ.), 2:1 პაპე (23)

**არმინია 3:1 დორტმუნდი**
სტრატოსი (67), 1:1 ცორკი (70), 2:1 კუნცი (80), 3:1 სტრატოსი (88)

**ჰანზა 1:2 კიოლნი**
პოლსტერი (27), 0:2 როზელე (46), 1:2 ნუვილი (63)

**მიუნხენი 1:3 კაიზერსლაუტერნი**
ვინკლერი (4), 1:1 მარშალი (22), 1:2 სფორცა (35), 1:3 მარშალი (84)

**ვერდერი 1:0 გლადბახი**
ფლო (47)

**ჰამბურგი 5:2 შტუტგარტი**
იაკობი (2), 1:1 დემბინსკი (16), 1:2 იებოა (54), 2:2 პოშნერი (56), 3:2 პაგნერი (66), 4:2, 5:2 ბობიჩი (73, 78)

პარასკევს ლიდერი „კაიზერსლაუტერნი" წელს უკვე მეორედ ესტუმრა მიუნხენს, ამჯერად „მიუნხენ 1860"-თან სათამაშოდ. მასპინძლებმა წინა ტურში ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული, დორტმუნდის „ბორუსია" დაამარცხეს სტუმრად, ლიდერმა კი პირველი მარცხი იწვნია და ისიც შინ. მიმომხილველები ფავორიტებად მასპინძლებს მიიჩნევდნენ — თ ხომ უეფას თასის პირველი ბარიერც დაძლიეს ამ თამაშამდე სამი დღით ადრე. ასე რომ, მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა სტუმრებისაზე ბევრად უკეთესი უნდა ყოფილიყო. აღნიშნავდნენ მიუნხენელთა დიდ პოტენციალსაც შეტევაში. მასპინძლებმა მართლაც აქტიურად დაიწყეს და ამან მალევე შედეგი გამოიღო — ვინკლერმა მე-4 წუთზე დააწინაურა მიუნხენელები.

„კაიზერსლაუტერნის" სასახელოდ და ითქვას, რომ ამ მძიმე ვითარებას ლე დააღწია თავი. ჯერ მარშალმა გაითა ანგარიში, მერე 35-ე წუთზე სფორცამ მეორე გოლიც გაუტანა მასპინძლებს, თამაშის მიწურულს კი კვლავ მარშალმა ისახელა თავი. „კაიზერსლაუტერნის" მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა დაუმტკიცა სკეპტიკოსებს, რომ გუნდის წარმატებული სტარტი შემთხვევითი არ იყო და „კაიზერი" მზადაა ბუნდესლიგის ალსაზევებლად.

იმავე დღეს ბუნდესლიგის გრანდყოფილთა — „ვერდერისა" და მიონხენგლადბახის „ბორუსიის" ბრემენულ შეხვედრაში მასპინძლებმა 1:0 იმარჯვეს. გოლი ფლომ გაიტანა. არადა, სტუმრები ფერში ჩამოუვარდებოდნენ ბრემენელებს.

შაბათის მატჩებიდან ყურადღების ცენტრში ჩემპიონთა ლიგაში მოასპარეზე გერმანული ფეხბურთის სამი გრანდის — „ბაიერნის", „ბაიერის" და დორტმუნდის „ბორუსიის" შეხვედრები იყო.

„ბაიერნი" ბოხუმში თამაშობდა. სპეციალისტები სტუმრებს იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ, რადგან მასპინძლები უწინდელივით დამაჯერებლად ველარ თამაშობენ. მართალია, ბოხუმელებმა უეფას თასზე „ტრაბზონს" მოუგეს, მაგრამ თამაშის ხარისხმა ვერ დატოვა კარგი შთაბეჭდილება.

თამაში უფრო დაძაბული გამოდგა, ვიდრე ელოდნენ. პირველებმა მასპინძლებმა იხეირეს — გოლი გულუნოღლუმ გაიტანა. „ბაიერნი" მალე მოეგო გონს. ბასლერმა ორი ბოხუმელი მოატყუა და

# მარშალი კაიზერის მერთმულია



ბოხუმი — ბაიერნი. კრახტი (მარცხნივ) ბევრს კი ცდილობდა, მაგრამ ჰელმერს და კანს (მეკარე) მაინც ვერ გაუტანა

ცაციათი გაუტანა მასპინძელთა მეკარე გოსპოდარეკს. მალე მანვე კარგად შეასრულა საჯარიმო და თავისიანები დააწინაურა. თამაში კვლავ „ბაიერნის" უპირატესობით გაგრძელდა და ციკლერმა 56-ე წუთზე მესამედ აიღო „ბოხუმის" კარი. იურანმა ისლა მოახერხა, რომ ორბურთიანი სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა.

ჩემპიონთა ლიგაში პრაღის „სპარტასთან" დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ დორტმუნდელთა ბილეფელდში, „არმინიასთან" წარმატებას ყველა გადაწყვეტილ საქმედ თვლიდა. მასპინძლებმა კი ძალიან ძლიერად ითამაშეს, კუნცმა, ირანელმა ალი დაეიმ და იტალიელმა ჯუზეპე რეინამ აიკლეს დორტმუნდელთა ნაქები დაცვითი ბასტიონები. წინა წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი ზამერი და გერმანელთაგან თავდაცვის მინისტრად შერაცხული კოლერი ვერაფერს გახდნენ მათ წინააღმდეგ. „ბორუსია" უხეშობასაც არ თაკილობდა, არბიტრმაც მრავლად აფრიალა ყვითელი ბარათები, სტუმართა დირიჟორი მიოლერი კი სულაც გააძევა მოედნიდან. ანგარიში „არმინიამ", კერძოდ, სტრატოსმა გახსნა. „ბორუსიამ" გააფთრებით შეუტია, ერთ ეპიზოდში მასპინძლებმა უხეშად ითამაშეს საჯარიმოში და მათ კარში პენალტი დაინიშნა. შაპუიზამ ძელს კი მოახვედრა ბურთი, მაგრამ ცორკმა ხეირიანად დაამატა 1:1. ეს იყო და ეს. უპირატესობა კვლავ მასპინძლებმა იგდეს ხელთ, თანაც მიოლერის გაძევების შემდეგ ხომ სტუმრები ათნი დარჩნენ. კუნცმა და სტრატოსმა საბოლოოდ გააცამტვერეს დორტმუნდელთა იმედები. 3:1 გაიმარჯვა „არმინიამ".

ბოლო ხანს პირველადაა, „ბორუსიას" აუტსაიდერთა შორის რომ უჭირავს ადგილი. გუნდი ვერა და ვერ ახერხებს სტაბილურად თამაშს, თუმცა ფინიშამდე დიდი დროა და დორტმუნდელთა თავკაცები იმედს არ კარგავენ.

ლევერკუზენის „ბაიერი" მოულოდნელად აღზევებულ „დუისბურგს" მასპინძლობდა. „ბაიერს" კვლავ აკლდა კირსტენი, „დუისბურგი" კი საბრძოლო შემადგენლობით იყო მოედანზე და პირველივე წუთიდან აქტიური თამაში გააჩაღა. მალე ტოგოელმა ბაშირ სალუმ სტუმრები დააწინაურა.

ლევერკუზენელები თამაშის გარდატეხას შეეცადნენ. ამაში მათ იღბალიც წაეხმარა, როცა სტუმართა კართან ჩაწოდებული ბურთი „დუისბურგის" მცველმა პეიტომ საკუთარ კარში ჩაჭრა.

შეხვედრა ორმხრივი იერიშებით კი გაგრძელდა, მაგრამ საბოლოოდ მასპინძლებმა შეძლეს გამარჯვების გოლის გატანა — პაპემ თავით იმარჯვა.

ლევერკუზენელთა ამჟამინდელი თამაში ნამდვილად ვერ იმსახურებს ქებას. დაცვაში სერიოზულად ცდებიან, ჩვეულად ვეღარ აკონტროლებენ ცენტრს — მათ ნახევარმცველებს ხომ ენერგიული, სწრაფი თამაშის წყალობით ეპყრათ ხელთ თამაშის სადავეები. აქედან გამომდინარე, პრობლემებია თავდასხმაშიც.

„შალკემ" დაამარცხა დებიუტანტი „ჰერტა". გუნდმა ჩვეულ სტილში ითამაშა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. გამოირჩეოდნენ გუსენსი და ვილმოტსი. სწორედ ამ უკანასკნელმა შეაგდო მატჩის ერთადერთი გოლი.

შესაძლოა, შემადგენლობით „შალკე" ჩამოუვარდება „ბაიერნს", დორტმუნდის „ბორუსიას", „შტუტგარტს", მაგრამ თამაშის ორგანიზაციით ტოლს არ უდებს მათ. ალბათ უკვე დროა, „შალკემ" ღირსეული ადგილი დაიკავოს ბუნდესლიგის გრანდებს შორის. ვნახოთ...

„კარლსრუემ" შინ მოუგო დებიუტანტ „ვოლფსბურგს". გამარჯვების გოლები რეგის და სხეპენსის ანგარიშზეა. თამაშის მიწურულს მაისნერმა ერთი გოლის გაქვითვა მოახერხა.

კიოლნში მთავარი მწვრთნელი ნოირურერი უნტერჰახინგიდან გადმოყვანილი კოსტნერით შეცვალეს. გუნდის თამაშიც უმალ შეიცვალა. „კიოლნმა" სტუმრად, როსტოკში, „ჰანზასთან" მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა და ისე ითამაშა, თითქოს ახალი სისხლი გადაუსხესო. „კიოლნმა" ძალიან აქტიურად და მობილურად იმოქმედა. პოლსტერისა და როზელეს ორ ბურთს ნოუვილემ ერთი გოლით უპასუხა — როსტოკელებმა ველარაფერი მოახერხეს — 2:1 გაიმარჯვა „კიოლნმა".

**გია გილიგაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერი | 9 | 7 | 1 | 1 | 20:10 | 22 |
| ბაიერნი | 9 | 6 | 2 | 1 | 21:9 | 20 |
| დუისბურგი | 9 | 5 | 1 | 3 | 11:11 | 16 |
| შალკე | 9 | 4 | 3 | 2 | 9:8 | 15 |
| ჰანზა | 9 | 4 | 2 | 3 | 12:9 | 14 |
| ვერდერი | 9 | 4 | 2 | 3 | 14:15 | 14 |
| არმინია | 9 | 4 | 0 | 5 | 12:11 | 12 |
| ჰამბურგი | 8 | 3 | 3 | 2 | 12:11 | 12 |
| კარლსრუე | 9 | 3 | 3 | 3 | 17:20 | 12 |
| შტუტგარტი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:8 | 11 |
| ლევერკუზენი | 9 | 3 | 2 | 4 | 17:14 | 11 |
| ვოლფსბურგი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:16 | 11 |
| მიუნხენ 1860 | 9 | 2 | 4 | 3 | 13:15 | 10 |
| მიონხენი | 9 | 2 | 4 | 3 | 12:14 | 10 |
| კიოლნი | 9 | 3 | 1 | 5 | 13:19 | 10 |
| დორტმუნდი | 9 | 2 | 3 | 4 | 15:14 | 9 |
| ბოხუმი | 9 | 2 | 1 | 6 | 12:19 | 7 |
| ჰერტა | 9 | 1 | 2 | 6 | 5:16 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ოლაფ მარშალი (კაიზერი) | 10 |
| ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი) | 7 |
| ულფ კირსტენი (ლევერკუზენი) | 6 |
| ბერნჰარდ ვინკლერი (მიუნხენი) | 6 |
| თომას ჰესლერი (კარლსრუე) | 5 |
| როი პრეგერი (ვოლფსბურგი) | 5 |
| ჰასან სალიხამიჯიჩი (ჰამბურგი) | 5 |
| მიხაელ ცაიერი (დუისბურგი) | 5 |

### მეორე ბუნდესლიგა

მე-9 ტური. ურდინგენი — კარლ ცაისი 2:0; მაინცი — კიკერსი 3:3; ფორტუნა — დიუსელდორფი 0:3; უნტერჰახინგი — ფრაიბურგი 1:1; მეპენი — ლაიპციგი 6:0; ცვიკაუ — ვატენშაიდი 0:0; ზანქტ პაული — კოტბუსი 2:2; გიუტერსლო — აინტრახტი 0:0. ფიურტი — ნიურნბერგი დღეს გაიმართება.

## იტალია

V ტური

**ატალანტა 0:1 ბრეშია**
0:1 ნერი (61)

**ემპოლი 0:1 მილანი**
0:1 ანდერსონი (68)

**იუვენტუსი 2:1 ფიორენტინა**
0:1 ოლივეირა (24), 1:1 ინძაგი (33), 2:1 დელ პიერო (36)

**ლეჩე 0:1 ბარი**
0:1 ინგესონი (67პ)

**პიაჩენცა 0:0 ბოლონია**

**რომა 6:2 ნაპოლი**
1:0 კანდელა (15), 2:0 გაუტიერი (33), 3:0 ბალბო (51), 4:0 დი ფრანჩესკო (52) 5:0 ბალბო (60), 5:1 ალტომარე (71), 5:2 ბელუჩი (87პ), 6:2 ბალბო (88)

**უდინეზე 3:2 სამპდორია**
1:0 კალორი (8), 1:1 მონტელა (35), ბირჰოფი 2:1 (35), 2:2 ბოღოსიანი (39), 3:2 პიერინი (46)

**ვიჩენცა 0:0 პარმა**

**ინტერი 1:1 ლაციო**
0:1 ნედვედი (35), 1:1 რონალდო (41პ)

როგორც იქნა, მილანელთათვისაც გამოიდარა. კაპელოს ბიჭებმა შვედი ანდრეას ანდერსონის ცოტა არ იყოს კურიოზული გოლის წყალობით ამ სეზონში პირველად გაიმარჯვეს.

არგენტინელმა აბელ ბალბომ ნეაპოლელთა განადგურებაში ლომის წილი დაიდო. ბალბოს ერთ-ერთი გოლი მისთვის მე-100 აღმოჩნდა სერია A-ში. „რომას" ნახევარმცველმა ეუსებიო და ფრანჩესკომ კი „სკუადრა აძურაში" გამოძახება გოლით აღნიშნა.

ბალბოსგან განსხვავებით, ჩემპიონატში პირველად მოხდა, მეორე არგენტინელმა — გაბრიელ ბატისტუტამ რომ ვერ შეაგდო, თუმცა, ამ ჯერზე ხელმოცარვის მიუხედავად ბომბარდირებში მაინც პირველია.

იტალიის ბოლო ტურის უმთავრეს მატჩში მთავარი მოქმედი პირი, როგორც მოსალოდნელი იყო, რონალდო იყო. ბრაზილიელმა სერია A-ში მართალია, პენალტით, მაგრამ მეხუთე გოლი შეაგდო, რითაც თავისიანებს ქულა მოუტანა. ანგარიში კი რომაელებმა გახსნეს, მას შემდეგ, რაც ნედვედმა და მანჩინიმ პალიუკა დაიმარტოხელეს. ბრაზილიელის პენალტი კი „ლაციოს" მეკარის ლუკა მარკეჯანის მიერ ფრანჩესკო მორიეროს წაქცევას მოჰყვა. ფრემ „ინტერს" ლიდერობა არ დაუკარგა, თუმცა ასპროცენტიანი შედეგი მაინც წაუხდინა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 5 | 4 | 1 | 0 | 15:7 | 13 |
| რომა | 5 | 3 | 2 | 0 | 12:4 | 11 |
| პარმა | 5 | 3 | 2 | 0 | 11:3 | 11 |
| იუვენტუსი | 5 | 3 | 2 | 0 | 9:2 | 11 |
| უდინეზე | 5 | 3 | 0 | 2 | 9:11 | 9 |
| სამპდორია | 5 | 2 | 2 | 1 | 10:8 | 8 |
| ლაციო | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| ვიჩენცა | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| ატალანტა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| ბრეშია | 5 | 2 | 1 | 2 | 7:9 | 7 |
| ფიორენტინა | 5 | 2 | 0 | 3 | 10:10 | 6 |
| ემპოლი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:7 | 6 |
| მილანი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| ბარი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| ნაპოლი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:11 | 4 |
| ბოლონია | 5 | 0 | 3 | 2 | 4:8 | 3 |
| პიაჩენცა | 5 | 0 | 2 | 3 | 4:9 | 2 |
| ლეჩე | 5 | 0 | 0 | 5 | 3:13 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 7 |
| აბელ ბალბო (რომა) | 6 |
| დარიო ჰუბნერი (ბრეშია) | 5 |
| რონალდო (ინტერი) | 5 |

### სერია B

მე-6 ტური. ჯენოა — კალიარი 1:3; ანკონა — რეჯინა 2:3; ფოჯა — პესკარა 1:0; ლუკეზე — დი სანგრო 1:0; მონცა — ფ. ანდრია 1:1; რავენა — კიევო 2:0; რეჯანა — ტრევიზო 1:0; სალერნიტანა — პერუჯა 2:0; ვენეცია — პადოვა 3:0; ვერონა — ტორინო 4:0

## ესპანეთი

V ტური

**ბილბაო 1:1 სოსიედადი**
1:0 გონსალესი (39), 1:1 [illegible] (72პ)

**სარაგოსა 1:1 ესპანიოლი**
1:0 გარიტანო (69პ), 1:1 ესნაიდერი (84)

**ბარსელონა 3:2 ტენერიფე**
1:0 ოსკარი (7), 1:1 ხუანელე (24), 1:2 პასი (28), 2:2 ოსკარი (31), 3:2 ლუის ენრიკე (51)

**კომპოსტელა 2:2 მალიორკა**
0:1 ამატო (43), 1:1 პენევი (16პ), 2:1 ოპენი (25), 2:2 რომერო (77)

**ოვიედო 0:2 ატლეტიკო**
0:1 კამინერო (15), 0:2 ვიერი (44)

**სელტა 4:1 სალამანკა**
1:0 კადეტე (4), 2:0, 3:0 მოსტოვოი (22, 35), 3:1 ტაირა (61), 4:1 სანჩესი (86)

**ვალიადოლიდი 0:3 ვალენსია**
0:1, 0:2 ვლაოვიჩი (6, 45), 0:3 ჟულიო ცეზარი (59ს.კ.)

**რეალი 0:0 დეპორტივო**

**რასინგი 4:1 სპორტინგი**
1:0, 2:0 კორეა (8, 25), 3:0 ბესჩასტნიხი (76), 3:1 ჩერიშევი (83), 4:1 კორეა (87)

*მერიდა — ბეტისი დღეს შეხვდება*

ბარსელონელები 1:2 აგებდნენ, მაგრამ „კამპ ნოუს" გამძვინვარებული ტრიბუნების შემხედვარე მასპინძლებმა შეძლეს და „ტენერიფეს" კიდევ ორი გაუტანეს. ჰოლანდიელ მწვრთნელზე გაგულისებული გულშემატკივრების აღშფოთებამ პიკს 1:1-ზე, დე ლა პენიას შეცვლის შემდეგ მიაღწია, მალე კი კანარის კუნძულელები სულაც დაწინაურდნენ. ვან გაალი ლუის ენრიკემ იხსნა, თუმცა, რომ არა ამ სეზონში ძირითადში პირველად მოთამაშე ოსკარი, მეტოქის დამარცხება ძლიერ გაჭირდებოდა. გულშემატკივრები ვან გაალის გაშვებას კი ითხოვენ, მაგრამ მწვრთნელს მხარი „ბარსელონის" ვიცე-პრეზიდენტმა ხუან გასპარმა დაუჭირა — ჩვენ შედეგებს ვითხოვთ, ამ მხრივ კი ყველაფერი რიგზეაო.

მადრიდში „რეალის" პრეზიდენტი ლორენსო სანსი თანამდებობაზე ახალი ვადით არჩევას ზეიმობდა, თუმცა სიხარული ისევ თავისიანებმა ჩაუშხამეს — შინ ლაკორუნიელებს ვერ სძლიეს, არადა, მომენტები უამრავი ჰქონდათ. დავორ შუკერმა პენალტიც კი დაარტყა, მაგრამ ჟაკ სონგომ აუღო. ამას გარდა ჩემპიონთა მეორე თავდამხმელმა რაულმა ხარიხა შეაზანზარა, ბოლო წუთებზე კი კლარენს ზეედორფმა ვერ ივარგა. ამ ფრეს შემდეგ მადრიდელებმა ბურთების უარესი სხვაობის გამო მეოთხე ადგილზე ჩაინაცვლეს „მალიორკას" და „სელტას" შემდეგ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 5 | 5 | 0 | 0 | 15:4 | 15 |
| მალიორკა | 5 | 3 | 2 | 0 | 15:7 | 11 |
| სელტა | 5 | 3 | 2 | 0 | 12:6 | 11 |
| რეალი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:1 | 11 |
| რასინგი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:7 | 9 |
| ატლეტიკო | 5 | 2 | 2 | 1 | 11:5 | 8 |
| ესპანიოლი | 5 | 1 | 4 | 0 | 6:4 | 7 |
| ტენერიფე | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | 7 |
| სოსიედადი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| დეპორტივო | 5 | 1 | 3 | 1 | 6:4 | 6 |
| კომპოსტელა | 5 | 1 | 3 | 1 | 10:9 | 6 |
| სარაგოსა | 5 | 1 | 3 | 1 | 8:8 | 6 |
| ოვიედო | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 6 |
| ბილბაო | 5 | 1 | 3 | 1 | 4:5 | 6 |
| ბეტისი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| სალამანკა | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | 4 |
| ვალენსია | 5 | 1 | 0 | 4 | 5:9 | 3 |
| მერიდა | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| სპორტინგი | 5 | 0 | 0 | 5 | 4:18 | 0 |
| ვალიადოლიდი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:16 | 0 |

### მეორე დივიზიონი

მე-6 ტური. ტოლედო — ნუმანსია 1:1; ალბასეტე — ვილიარეალი 1:1; ეიბარი — რაიო 0:1; ლას პალმასი — ერკულესი 3:2; ლეიდა — ოსასუნა 2:1; ორენსე — ლევანტე 2:0; ხაენი — ალავესი 0:0; სერესი — ლეგანესი 3:0; ელჩე — ატლეტიკო B 3:1; ექსტრემადურა — სევილია 3:0; ბადახოსი — ლოგრონიესი 0:0

## შვეიცარია

14 ტური. არაუ — ციურიხი 1:0; ლოზანა — სერვეტი 3:2; გრასჰოპერი — სიონი 2:1; ქსამაქსი — სტ. გალენი 2:2; კარუჟი — ბაზელი 2:1; ლუცერნი — კრიენსი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ...ვეტი | 14 | 9 | 4 | 1 | 28:14 | 31 |
| ...ასჰოპერი | 13 | 9 | 2 | 2 | 37:15 | 29 |
| ...ზანა | 14 | 8 | 3 | 3 | 29:19 | 27 |
| ...ტ გალენი | 13 | 5 | 5 | 3 | 26:21 | 20 |
| ...აუ | 14 | 6 | 2 | 6 | 22:19 | 20 |
| ...ურიხი | 14 | 4 | 6 | 4 | 16:17 | 18 |
| ...ონი | 13 | 4 | 5 | 4 | 19:16 | 17 |
| ...მაქსი | 14 | 4 | 4 | 6 | 20:24 | 16 |
| ...იენსი | 14 | 4 | 4 | 6 | 15:21 | 16 |
| ...უცერნი | 13 | 3 | 5 | 5 | 14:20 | 14 |
| ...ზელი | 14 | 2 | 2 | 10 | 14:29 | 8 |
| ...რუჟი | 14 | 1 | 4 | 9 | 13:38 | 7 |

## შოტლანდია

მე-8 ტური. სელტიკი — კილმარნოკი 4:0; დანფერმლაინი — დანდი იუნაიტედი 3:3; ჰიბერნიანი — რეინჯერსი 3:4; მოზერველი — ჰართსი 1:4; სენტ ჯონსტონი — აბერდინი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰართსი | 8 | 6 | 0 | 2 | 18:9 | 18 |
| რეინჯერსი | 7 | 5 | 2 | 0 | 22:10 | 17 |
| სელტიკი | 7 | 5 | 0 | 2 | 15:7 | 15 |
| ჰიბერნიანი | 8 | 3 | 3 | 2 | 17:11 | 12 |
| დანფერმლაინი | 8 | 3 | 3 | 2 | 14:16 | 12 |
| სტ. ჯონსტონი | 8 | 2 | 3 | 3 | 7:10 | 9 |
| მოზერველი | 7 | 2 | 2 | 3 | 11:12 | 8 |
| კილმარნოკი | 7 | 1 | 2 | 4 | 3:16 | 5 |
| დანდი იუნ. | 8 | 0 | 4 | 4 | 10:17 | 4 |
| აბერდინი | 8 | 0 | 3 | 5 | 7:16 | 3 |

## ავსტრია

მე-14 ტური. რიდი — აუსტრია 0:1; ტიროლი — გრაცერი 0:0; ადმირა — ლინცერი 1:5; რაპიდი — ზალცბურგი 0:3; შტურმი — ლუსტენაუ 6:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 14 | 10 | 3 | 1 | 33:8 | 33 |
| გრაცერი | 14 | 8 | 2 | 4 | 26:12 | 26 |
| აუსტრია | 14 | 7 | 3 | 4 | 20:19 | 24 |
| ლინცერი | 14 | 6 | 3 | 5 | 23:20 | 21 |
| რაპიდი | 14 | 6 | 3 | 5 | 16:17 | 21 |
| ზალცბურგი | 14 | 5 | 3 | 6 | 23:17 | 18 |
| რიდი | 14 | 4 | 4 | 6 | 14:22 | 16 |
| ტიროლი | 14 | 4 | 3 | 7 | 16:19 | 15 |
| ლუსტენაუ | 14 | 3 | 5 | 6 | 18:24 | 14 |
| ადმირა | 14 | 2 | 1 | 11 | 9:40 | 7 |


სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მთელ ქალაქში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ეტიკეტების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

# პატრიკ ენფილდელის დღე

## ინგლისი

X ტური

**არსენალი 5:0 ბარნსლი**
1:0, 2:0 ბერხკამპი (25, 32), 3:0 პარლოუ (45), 4:0 პლატი (63), 5:0 რაიტი (76)

**ბოლტონი 0:1 ასტონ ვილა**
0:1 მილოშევიჩი (12)

**ქოვენთრი 0:0 ლიდსი**

**მანჩესტერი 2:0 კრისტალ პალასი**
1:0 შერინგემი (17), 2:0 პრეიდარსონი (30 სკ.)

**ნიუკასლი 1:0 ტოტენჰემი**
1:0 ბარტონი (89)

**შეფილდი 3:1 ევერტონი**
1:0, 2:0 კარბონე (78, 82 პ), 2:1 კადამარტერი (84), 3:1 დი კანიო (89)

**საუთჰემპტონი 3:0 ვესტ ჰემი**
1:0 ოსტენსტადი (54), 2:0 დევისი (65), 3:0 დოდსი (68)

**უიმბლდონი 0:1 ბლექბერნი**
0:1 სატონი (6)

**ლივერპული 4:2 ჩელსი**
1:0 ბერგერი (20), 1:1 ძოლა (22), 2:1, 3:1 ბერგერი (35, 57), 4:1 ფაულერი (64), 4:2 პოიეტი (85 პ)

*ლესტერი — დერბი დღეს გაიმართება*

არა, ამ მწვრთნელებს ნაღდად ვერ გაუგებს კაცი. მითუმეტეს — მოთამაშე-მწვრთნელს. გუშინ „ჩელსის“ 26-ე წუთზე მცველი ლემბორდი გაუგდეს — მაკმანამანთან უხეშობისთვის მეორე ყვითელი ბარათი მიიღო. ლემბორდი, ვიმეორებთ, მცველია და არა მეკარე, მაგრამ რუუდ გულიტმა ჩათვალა, რომ რაიმე უნდა შეეცვალა და ყველასთვის მოულოდნელად ძოლას ნაცვლად... თავად შებრძანდა მოედანზე. ამ დროისთვის „ენფილდ როუდის“ ტაბლოზე საყაიმო 1:1 ალბეჭდილიყო, ერთ საათში კი „ლივერპულმა“ სამქულაშემატებულმა დატოვა მშობლიური სტადიონი — 4:2.

ექვსიდან სამი გოლი ერთობ წააგავდა ერთმანეთს. მე-20 წუთზე ინსის შორეული პასით ბერგერი ხეირიან პოზიციაში კი აღმოჩნდა, მაგრამ მეკარემდე ჯერ ლე სო იყო ჩამოსაშორებელი, თუმცა ჩელსელი ისე ჩქარობდა, ჩეხსაც გაასწრო და ბურთსაც, რომელსაც თავდამსხმელმა იდეალური ტრაექტორია მოუძებნა და ანგარიშიც გახსნა. ორ წუთში თითქმის იგივე, ოღონდ ამჯერად პოიეტის პასით ძოლა გადის პირისპირ და, ცხადია, ეული ჯეიმსის მოტყუება არ უჭირს — 1:1. ამათი დარი გოლი კიდევ ერთხელ იხილა მაყურებელმა, როცა თავის მოედანზე ჩარჩენილმა მაკმანამანმა ორმოცმეტრიანი პასით ერთბაშად ბერგერი და რიდლე დატოვა დე გუისთან „სალაპარაკოდ“ და ჩეხმა პირველი ლივერპულური ჰეთ-თრიქი გაახერხა. ეს 57-ე წუთზე მოხდა და „ჩელსის“ მარცხი ცხადი გახდა — 3:1.

მანამდე კი იყო გულიტის ორიგინალური ცვლილება და ბერგერის მეორე გოლი, ამჯერად დანიელი ბიორნებიუს პასით.

ჩეხი, იტალიელი ...დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ნორვეგიელი ფლოს საკუთარ საჯარიმოში წაქცევა ირლანდიელ მაკატირს პენალტად დაუჯდა და ურუგვაელმა პოიეტმაც საბოლოო ანგარიში დააფიქსირა, თუმცა სირცხვილი იყო, ექვსი გოლიდან ერთი მაინც არ გაეტანა ინგლისელს — 64-ე წუთზე ფაულერ-ბერგერ-ფაულერის კომბინაცია მასპინძელთა მესამე გოლად აბორიგენმა ფაულერმა აქცია.

„ვიმედოვნებ, რომ დღეს ჩვენ მისი კარიერის ახალი ეტაპის დასაწყისი ვიხილეთ“ — თქვა მატჩის შემდეგ „ლივერპულის“ მწვრთნელმა როი ევანსმა პატრიკ ბერგერზე, რომელმაც ის ბურთი, სამჯერ რომ შეაგდო მეტოქის კარში, გასახდელში გაიყოლა.

ამ გამარჯვებით „ლივერპული“ დაეწია „ნიუკასლს“, თუმცა ჯორდებს ამათზე ორი თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული.

ქეცბაიას გუნდმა უნდა თქვას, ბედი გვქონიაო. ჩემპიონთა ლიგაში როგორ მოხვდნენ, ყველას მოგეხსენებათ; კიევში რა ალალად წაგებული მატჩი შემოუტრიალდათ, ესაც ნახეთ; ახლა ცოტა ზემოთ აიხედეთ და ნახავთ, რომელ წუთზე გამოგლიჯეს ლონდონელ სტუმრებს სამი ქულა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ როცა გუნდი შირერს, ასპრილიას და ლის მოისაკლისებს, ცოტა ბედმაც უნდა გაუღიმოს.

თემურ ქეცბაიამ მთელი მატჩი ითამაშა — პირველიდან ბოლო წუთამდე. ითამაშა და მოედანზე ყველაზე შესამჩნევიც გახლდათ. ამ შემთხვევაში მის თავს არ ვგულისხმობთ — ჩვენებურმა ორჯერ უძლიერესად დაარტყა, თუმცა უოქერის მოგერიებულს ვერავინ დაამატა. ამას გარდა, ერთ მომენტში თემური ტოტენჰემელმა კოლინ კალდერვუდმა საკუთარ საჯარიმოში მოცელა, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა, რითაც ქართველიც და მისი თანაგუნდელებიც ერთობ ალაშფოთა. გოლი კი ასე გავიდა: ქეცბაიამ მარცხენა ფრთიდან კუთხური მოაწოდა, სტუმრების მოგერიებულს ბეტიმ დაჰკრა, უოქერმა ბურთი ვერ შეინარჩუნა და მცველმა ბარტონმა („ნიუკასლში“ ხომ მხოლოდ მცველები იტანენ) თავის გუნდს პოტენციური ლიდერის სახელი შეუნარჩუნა.

დე ფაქტო ლიდერი კი კვლავ „არსენალია“, რადგან დენის ბერხკამპის გამჩერებელი ჯერ ვერავინ გამოჩნდა. თუ გამოჩნდა და მეთოფეებმა წაიფორხილეს, იქვეა „მანჩესტერ იუნაიტედი“ — ამან „იუვენტუსი“ დაამარცხა და „კრისტალ პალასს“, ცხადია, ქულასაც არ გაატანდა.

დიდი ჩხუბის მოწმე გახდა ბოლტონელი მაყურებელი — 90-ე წუთზე სტუმარი კოლიმორი ადგილობრივ ტოდს შეერკინა, თუმცა მსაჯს ქულების თვლა არ დაუწყია და ორივე სარტყლის მაგიერ წითელი ბარათით დააჯილდოვა.

**გიგა ძოგახიძე**



REUTERS ბოლტონიდან

კოლიმორმა ამჯერადაც ვერ გაიტანა და ერთი-ორიც მოხვდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 10 | 6 | 4 | 0 | 27:10 | 22 |
| მანჩესტერი | 10 | 6 | 3 | 1 | 14:4 | 21 |
| ბლექბერნი | 10 | 5 | 4 | 1 | 20:9 | 19 |
| ლესტერი | 9 | 5 | 3 | 1 | 13:6 | 18 |
| ჩელსი | 9 | 5 | 1 | 3 | 24:14 | 16 |
| ლივერპული | 9 | 4 | 3 | 2 | 16:10 | 15 |
| ნიუკასლი | 7 | 5 | 0 | 2 | 7:5 | 15 |
| ლიდსი | 10 | 4 | 2 | 4 | 11:11 | 14 |
| ასტონ ვილა | 10 | 4 | 1 | 5 | 11:15 | 13 |
| ვესტ ჰემი | 10 | 4 | 1 | 5 | 12:17 | 13 |
| დერბი | 7 | 4 | 0 | 3 | 14:7 | 12 |
| ქოვენთრი | 10 | 2 | 6 | 2 | 8:11 | 12 |
| კრისტალ პალ. | 10 | 3 | 2 | 5 | 9:13 | 11 |
| ტოტენჰემი | 10 | 2 | 4 | 4 | 6:11 | 10 |
| უიმბლდონი | 9 | 2 | 3 | 4 | 10:11 | 9 |
| შეფილდი | 10 | 2 | 3 | 5 | 14:23 | 9 |
| ბოლტონი | 9 | 1 | 5 | 3 | 8:12 | 8 |
| ევერტონი | 9 | 2 | 2 | 5 | 11:16 | 8 |
| საუთჰემპტონი | 10 | 2 | 1 | 7 | 8:17 | 7 |
| ბარნსლი | 10 | 2 | 0 | 8 | 7:28 | 6 |

### პირველი დივიზიონი

მე-10 ტური. ჰადერსფილდი — ნოტინგემი 0:2; ბირმინგემი — ქრიუ 0:1; ბრედფორდი — ვულვერჰემპტონი 2:0; იფსვიჩი — სიტი 1:0; ქუინზ პარკი — ჩარლტონი 2:4; რედინგი — სანდერლენდი 4:0; სტოკპორტი — პორტსმუთი 3:1; სტოკ სიტი — ბერი 3:2; სვინდონი — პორტ ვეილი 4:2; ტრანმერი — ნორვიჩი 2:0; ვესტ ბრომვიჩი — ოქსფორდი 1:2; მიდლსბრო — შეფილდ იუნაიტედი 1:2

## ჰოლანდია

IX ტური

**მაასტრიხტი 2:2 სპარტა**
0:1 ვარიელა (62), 0:2 დენ ბუნე[...]
1:2, 2:2 ვოლმესი (74, 87პ)

**ეინდჰოვენი 3:1 ჰერენვე[ენი]**
1:0 პეტროვიჩი (19), 2:0 ნილის[...]
3:0 სტინგა (83), 3:1 ნისტელრო[...]

**ნაიმეგენი 4:1 ვოლენდ[ამი]**
0:1 ვალკი (7), 1:1 ვან ეიკერენი ([...])
კონინგი (45), 3:1 ვან ეიკერენი [...]
4:1 მაესი (90პ)

**ტვენტე 2:0 გრონინგე[ნი]**
1:0 ვენეგოორი (2), 2:0 სუმიალა[...]

**გრაფსხაპი 0:1 უტრეხტ[ი]**
0:1 დეშეივერი (43)

**ტილბურგი 0:1 აიაქსი**
0:1 ლაუდრუპი (12)

**ვიტესი 3:2 ვალვაიკი**
0:1 ცელა (28), 0:2 ვან დიემენი (32), [...]
მახლასი (36, 60პ), 3:2 ჩუროვიჩი

**ფეიენოორდი 2:1 ბრედ[ა]**
0:1 არჩილ არველაძე (11), 1:1 [...]
(26), 2:1 ვან გასტელი (84)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 9 | 9 | 0 | 0 | 37[...] |
| ეინდჰოვენი | 9 | 6 | 3 | 0 | 28[...] |
| ტვენტე | 9 | 5 | 3 | 1 | 14[...] |
| ფეიენოორდი | 8 | 5 | 2 | 1 | 16[...] |
| ვიტესი | 9 | 5 | 2 | 2 | 24[...] |
| ჰერენვენი | 9 | 5 | 2 | 2 | 13[...] |
| სპარტა | 9 | 3 | 3 | 3 | 20[...] |
| როდა | 8 | 4 | 0 | 4 | 13[...] |
| გრონინგენი | 9 | 3 | 3 | 3 | 13[...] |
| გრაафსხაპი | 9 | 3 | 2 | 4 | 10[...] |
| ბრედა | 8 | 2 | 3 | 3 | 8[...] |
| ნაიმეგენი | 9 | 3 | 0 | 6 | 9[...] |
| ტილბურგი | 9 | 2 | 2 | 5 | 13[...] |
| ვალვაიკი | 9 | 2 | 2 | 5 | 13[...] |
| უტრეხტი | 9 | 2 | 2 | 5 | 14[...] |
| სიტარდი | 8 | 1 | 2 | 5 | 6[...] |
| ვოლენდამი | 9 | 1 | 2 | 6 | 6[...] |
| მაასტრიხტი | 9 | 1 | 1 | 7 | 7[...] |

### ბომბარდირები

ნიკოს მახლასი (ვიტესი)
დენის დე ნოიერი (სპარტა)
შოთა არველაძე (აიაქსი)
ტიჯანი ბაბანგიდა (აიაქსი)



# ფინალები შქართველებოდ და ბევრი რუსით

ქართუ — თბილისის ღია პირველობა ქალთა შორის

**ნახევარფინალი. ერთეულები — ანა ზაპოროჟანოვა (უკრაინა) — მარგალიტა ჩახნაშვილი (საქართველო) 6:4, 6:0, ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) — ვერა ჟუკოვეცი (ბელარუსი).**

**წყვილები: ელენა დემენტიევა, ანასტასია მისკინა (ორივე რუსეთი) — მარია ბობოედოვა (რუსეთი), ირინა კაკულია (საქართველო) 6:2, 6:2. ვერა ჟუკოვეცი (ბელარუსი), ანა ზაპოროჟანოვა (უკრაინა) — სოფიკო მანაგაძე (საქართველო), იულია კრიუკოვა (რუსეთი) 6:2, 6:2.**

ერთეულებში ჩვენმა იმედმა მაკა ჩახნაშვილმა კარგად დაიწყო შეხვედრა უკრაინელ ზაპოროჟანოვასთან. მეტოქის მოწოდებული მოიგო, თავისიც და 2:0 დაწინაურდა. მაგრამ შემდეგ ზაპოროჟანოვამ სამჯერ ზედიზედ მაკას მოწოდებაზე მოჭრილი დარტყმებით ქულები აიღო და გეიმიც მოიგო. ეს მაკამაც სცადა უკრაინელის მოწოდებაზე, მაგრამ უშედეგოდ. მან ძნელად მოიგო თავისი მოწოდება, შემდეგ ზაპოროჟანოვას მოწოდებისას მოჭრილ დარტყმას მოჭრილითვე უპასუხა და კვლავ ორი გეიმით დაწინაურდა 4:2.

4:3-ზე თავის სასარგებლოდ მაკა მეტოქის მოწოდებას იგებდა — 40:15, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმა ვერ შეასრულა და ანგარიში კვლავ გათანაბრდა. ასეთივე შანსი ჩახნაშვილს კიდევ ერთხელ, 4:4-ზე მიეცა, მაგრამ ზაპოროჟანოვამ ისევ შეძლო თავის დაძვრენა.

ამის შემდეგ შეხვედრა „ცალ კარში“ თამაშს დაემსგავსა. მაკამ ვერაფრით შეძლო ძალების მოკრება და ზაპოროჟანოვამაც ადვილად მიიყვანა მატჩი გამარჯვებამდე 6:4, 6:0.

თითქმის ასეთივე სცენარით წარიმართა მეორე ნახევარფინალიც. ჟუკოვეცი 3:1 დაწინაურდა პეტროვასთან, სრულიად მშვიდ სიტუაციაში აღელდა და მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა 3:3. ამის შემდეგ პეტროვას წაუვიდა თამაში და როცა ასეა, მისი შემჩერებელი ამ ტურნირზე არავინაა. 6:3, 6:1 — პეტროვა ფინალშია.

ასევე აშკარა იყო ერთი მხარის უპირატესობა წყვილთა ნახევარფინალებში. დემენტიევასა და მისკინას მეტად შეხმატკბილებულმა დუეტმა არავითარი შანსი არ დაუტოვა კაკულიასა და ბობოედოვას, ზაპოროჟანოვა — ჟუკოვეცმა კი — მანაგაძესა და კრიუკოვას.

**ფინალი. ერთეულები. ნადეჟდა პეტროვა — ანა ზაპოროჟანოვა 6:1, 6:4.**



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

გამარჯვებული ნადია პეტროვა მოსკოველია, 15 წლის. თბილისის ღია პირველობა მისთვის მეორე საერთაშორისო ტურნირია მოზრდილებში

პირველი სეტი სალაპარაკოდაც არ ღირს. პეტროვას ყველაფერი გამოსდიოდა, ზაპოროჟანოვას — არაფერი. პეტროვა თითქმის უშეცდომოდ თამაშობდა, ზაპოროჟანოვას შეცდომებს კი ბოლო არ უჩანდა. მხოლოდ 5:0-ის შემდეგ შეძლო ზაპოროჟანოვამ გეიმის მოგება, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ სეტში გამარჯვებულის ვინაობა გარკვეული იყო.

პეტროვამ მეორე სეტიც ძლიერად დაიწყო და 3:0 დაწინაურდა. ზაპოროჟანოვამ კვლავ სცადა თავისი იარაღის — მოჭრილი დარტყმების გამოყენება და გაუმართლა კიდეც. პეტროვა ოდნავ ანერვიულდა და ანგარიშში 4:3-მდე შემცირდა. აქ ზაპოროჟანოვას მოწოდება იყო და თითქოს თამაშში გარდატეხაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ანა აღელდა და თავისი მოწოდება მშრალად წააგო. ეს უკვე გადამწყვეტი გეიმი იყო. მართალია, ზაპოროჟანოვამ კიდევ გაიბრძოლა და შემდეგი გეიმიც მოიგო, მაგრამ გასაგები იყო — პირველობას პეტროვა აღარ დათმობდა.

**წყვილები: ელენა დემენტიევა, ანასტასია მისკინა (ორივე რუსეთი) — ანა ზაპოროჟანოვა (უკრაინა), ვერა ჟუკოვეცი (ბელარუსი) 3:6, 6:0, 6:4.**

მიუხედავად იმისა, რომ ჟუკოვეცი და ზაპოროჟანოვა უფრო გამოცდილნი არიან (მათი ასაკი, შესაბამისად, 21 და 18 წელია), მოსკოველთა ნორჩი წყვილი ამ შეხვედრაში ფავორიტი იყო. ამ ტანმაღალმა და მეტად მოხდენილმა დუეტმა თავისი გააზრებული თამაშით თბილისელთა დიდი სიმპათია დაიმსახურა და, უნდა ითქვას, არაქართველთა შორის ყველაზე მეტი გულშემატკივარიც მათ ჰყავდათ. მაგრამ ზაპოროჟანოვა, რომელიც უკვე მეორე ფინალს თამაშობდა და ჟუკოვეცი საბრძოლველად იყვნენ განწყობილი. ორივე დუეტი პირველსავე გეიმში ისე შეება ერთმანეთს, თითქოს პირველი ადგილის ბედი ამ გეიმშივე წყდებოდა. 9-ჯერ (!) ერთ-ერთ დუეტს შეეძლო, ერთი დარტყმით დაემთავრებინა შეხვედრა, მაგრამ ანგარიში 9-ჯერვე გათანაბრდა. ბოლოს მაინც რუსებმა იმარჯვეს და ანგარიში გაიხსნა.

უკრაინელ-ბელარუსელის წყვილმაც უძლიერესი თამაშით უპასუხა და ზედიზედ სამი გეიმი მოიგო. მათ შორის ორი მეტოქის მოწოდებაზე. ამ დროს ზაპოროჟანოვა აწვდიდა და ამ გეიმის მოგება ანგარიშს მოსკოველთათვის კატასტროფულს გახდიდა, მაგრამ ბადესთან მშვენივრად ითამაშა მისკინამ, რომელმაც სამი ულამაზესი ბურთი ჩააგდო ზედიზედ და მეტოქენი უფრო წინ აღარ გაუშვა. შემდეგ რუსებმა ანგარიში გაათანაბრეს, მაგრამ ზაპოროჟანოვამ კვლავ წინ გაიყვანა თავისი დუეტი.

გადამწყვეტი მერვე გეიმი გამოდგა, დემენტიევას მოწოდებაზე ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა. წინ ხან ერთი მხარე იყო, ხან მეორე, მაგრამ დემენტიევა შესანიშნავი თამაშით მოპოვებულ ქულებს მოწოდებაზე ორმაგი შეცდომით ქარს ატანდა. საბოლოოდ ეს გეიმიც და შემდეგიც უფროსებმა მოიგეს 6:3.

მეორე სეტში მისკინამ და დემენტიევამ ძალიან მოუმატეს, უფრო სწორად, დუეტის ლიდერმა დემენტიევამ, რომელიც პირველ სეტში ჩრდილში მოექცა და ზაპოროჟანოვა და ჟუკოვეცი წაზნეს. საბოლოოდ, მეორე ხელი მოსკოველების გამარჯვებით დამთავრდა 6:0.

აქ ზაპოროჟანოვას გახსენდა, რომ მეორე ფინალს აგებდა და ტექნიკური დარტყმებით სცადა მესამე სეტში მატჩის ბედის გადაწყვეტა, მაგრამ მას ჟუკოვეცი ვეღარ უბამდა მხარს. უნდა ითქვას, რომ ორივე წყვილმა მეტად ლამაზი თამაში აჩვენა, რამდენჯერმე ბადესთან, ბურთის მიწაზე დაუშვებლად, რაღაც ფარიკაობის მსგავსიც გაიმართა. ჟუკოვეცი და ზაპოროჟანოვა კარგა ხანს იყვნენ წინ და რუსებმა მხოლოდ მეექვსე გეიმის მოგებით გააყაიმეს — 3:3.

მეშვიდე გადამწყვეტი აღმოჩნდა. მისკინამ 30:30-ზე ეისით და შემდეგ ბადესთან შესანიშნავი თამაშით დააწინაურა თავისი წყვილი — 4:3.

ზაპოროჟანოვამ პრაქტიკულად მარტომ შეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მომდევნო გეიმში უკვე დემენტიევამ იძალა და საკმაოდ ანერვიულებულმა ჟუკოვეცმა თავისი მოწოდება 0-ზე წააგო.

**კოტე მგალობლიშვილი**


სარბიელ[ი]
სპორტული გაზეთი
გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობი[თ], ხუთშაბათობითა და შაბათობი[თ]

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მექვაბლია
ფეხბურთის განყოფილება: ლაშა გოდუაძე, კობა ინასარ[იძე], მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამ[...]შვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება: ერეკლე კიკილაშვილი, [...] მჭეიძე, ავთანდილ სვანიძე, [...] ჯავახიშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიან[იძე], ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი: ელენე გელუტაშვილი, ნინო [...]ვაძე, სვეტა დევაძე, ვანო კ[...], ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხ[...], გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხ[...]აშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილ[ი]
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლ[იშვილი]
დამფუძნებელი: შეზღუდულ[ი] სუხისმგებლობის საზოგადოებ[ა] საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილ[ისი], ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კო[რპუ]სი, IV სართული. საფოსტო მი[სამარ]თი: თბილისი - 79, საფოსტო [ყუთი] 208. ტელეფონი: 39 48 29